



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვირია

კვირია, ნაყოფიერების წინაქრისტიანული ღვთაება საქართველოში, განასახიერებდა გაბაფხულზე ბუნების აღორძინებას. ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენებით ღვთისშვილთა წინამძღოლი, ღვთის კარზე „მოარული“, „ხმელთ-მოურავი“, „მაღლის ხთის მოკარე/მოკარვე“. კ-ს სახელი მომდინარეობს ბერძნულიდან; კვირა – საღვთო, საუფლო დღე, რ-იც იმპ. კონსტანტინე დიდმა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად რომის იმპერიის მთავარ სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა (321).

საქართველოში კ-ს დღეობას აღდგომის მე-3 კვირას, მენელსაცხებლუ დედების ხსენების დღეს აღნიშნავდნენ. რასაც მკვლევრები ქართლის მოქცევასა და მცხეთის ჯვრის დღესასწაულს უკავშირებენ.

აღმ. საქართ. მთიელთა საწესო ტექსტებში ღმერთი და კ. ერთად იხსენიება: „ხთისა, კვირაის დიდებით, ჩემის სიტყვის მახსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით“ (ხალხ.). კ-ს შესთხოვდნენ შვილიერებას, მოსავლის სიუხვეს, საქონლის დაცვა-გამრავლებას, ლალიან-ბარაქიანობას, თვალის სინათლეს, ქარ-სეტყვის, მიწისძვრის თავიდან აცილებას. ხალხური წარმოდგენით კ. ეხმარებოდა ღვთისშვილებს დევ-კერპების განადგურებაში. მასვე ებარა სამართალი: „გარმოდგეს სასწორი ჩარეჟი კვირავ, დაუგი თვალია“ (ხალხ.). მისი ხალხ. ეპითეტები იყო – „კვირაცხოველი“, „კვირაძალი“, „კვირადვთისშვილი“. მოხვევები კვირადვთისშვილს უწოდებდნენ ლითონის პატარა ხატს იესო ქრისტეს გამოსახულებით, რ-საც ამკობდნენ ყელსაბამით, ბეჭდებით, ღილებით. სვანეთში კ-ს სადიდებელ საფერხულო სიმღერებს ასრულებდნენ კალენდარულ სახალხო-რელიგიურ დღეობებზე. კ-ს სახელზე არსებობს ეკლესია სოფ. ართანაში (თელავის მუნიციპ.). არსებობს მოსაზრება, რომ კულტონიმი კ.

ქრისტეს ერთ-ერთი ხალხ. ეპითეტია.

ლიტ.: ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ქ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2018; გ უ ჯ ე ჯ ი ა ნ ი რ., ჩ ა მ გ ე ლ ი ა ნ ი მ., ც ი ნ ც ა ძ ე დ., „კვირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, წგ.: სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011; კ ი კ ნ ა ძ ე ზ., ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ქ., მ ი ნ დ ა ძ ე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, თბ. 2018; ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი ა., ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის (ღვთაება კვირიას სახელები და ეპითეტები), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის (მსე), ნაკვ. 23, XXIII, თბ., 1987; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ქართველი ერის ისტორია, წგ., 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1).

გ. ჩინჩალაძე
